ოქმი:**ო37.37213352**

თარიღი:**01/12/2021**

**ოქმი #21**

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**ბიუროს რიგგარეშე სხდომის**

2021წელი, 30 ნოემბერი

ქ. ოზურგეთი

$18^{00}$ – $19^{00}$ საათი

**თავმჯდომარეობდა:** დავით დარჩია -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

**ესწრებოდნენ:** მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: გ. ჩაგანავა, გ.კილაძე, ლ.ბიგვავა, ტ.არეშიძე, ლ.საჯაია, დ.მჟავანაძე, ე.გორდელაძე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და მერიის პასუხისმგებელი მუშაკები, მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დავით დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია, სხდომას ესწრება 7 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად დაამტკიცეს.

**დღის წესრიგი**

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია**

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გიორგი ღურჯუმელიძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ეროდი გორდელაძე**

3.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის თამაზ ბურჭულაძის

უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ეროდი გორდელაძე**

4.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ვლადიმერ ჩავლეშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ეროდი გორდელაძე**

თანამომხსენებელმა პავლე ჭყონიამ ბიუროს წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების პროექტი, ბიუროს წევრმა ლ.ბიგვავამ განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა პროექტს თან ხლებოდა ახსნა-განმარტებითი ბარათი.

**გადაწყვიტეს:**

ბიუროს სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენი საკითხები შეტანილი იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე